საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2471 2022 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 მაისის №833 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 მაისის №833 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსათვის არა უმეტეს 3 851 110 (სამი მილიონ რვაას ორმოცდათერთმეტი ათას ას ათი) ლარის გამოყოფა, საიდანაც:

ა.ა) 1 266 110 (ერთი მილიონ ორას სამოცდაექვსი ათას ას ათი) ლარი მიმართული იქნება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცებული „აგროდაზღვევის პროგრამის“ განსახორციელებლად;

ა.ბ) 636 873 (ექვსას ოცდათექვსმეტი ათას რვაას სამოცდაცამეტი) ლარი მიმართული იქნება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ა.გ) 1 948 127 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდარვა ათას ას ოცდაშვიდი) ლარი მიმართული იქნება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ განსახორციელებლად;

ბ) არა უმეტეს 16 148 890 (თექვსმეტი მილიონ ას ორმოცდარვა ათას რვაას ოთხმოცდაათი) ლარი მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**